www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 26 დეკემბერი, 2013 წელი. | №3437 (244) | ფასი 50

ტერმინებში ნათქვამი პოზიცია

დათო გამისონია

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტმა, რომლის პრინციპებზეც უმრავლესობა და ოპოზიცია თანხმდებოდნენ, გუშინ ტერმინოლოგიის გამო ხანგრძლივი დებატები გამოიწვია.

პროექტის თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები ის სტუდენტები, რომლებიც აკრედიტებულ უმაღლეს

სასწავლებლებში სწავლობენ, სახელმწიფოსგან სასწავლო გრანტს მიიღებენ.

წინასწარი მონაცემებით, ამ კატეგორიაში 320 სტუდენტია. ამასთან, კანონპროექტში შესული შესწორებით, სწავლის საფასური, ასევე აუნაზღაურდებათ პროფესიული სასწავლებლისა და არააკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის რამდენიმე სტუდენტს.

კანონპროექტის მე-2 მოსმენით განხილვისას საპარლამენტო უმცირესობამ აქცენტი იმ ფორმულირებაზე შეაჩერა, რომელშიც ტერმინი „გამყოფი ხაზია“ გამოყენებული. უმცირესობის წევრ გიორგი კანდელაკის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ კანონპროექტის სულისკვეთებას მხარს უჭერს, მაგრამ, დეპუტატის აზრით, მთავარი დოკუმენტში გამოყენებული ტერმინოლოგიაა. **„სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საერთაშორისო ლეგიტიმაცია არ შესუსტდეს და ქვეყანა ამ მიმართულებით თანმიმდევრული იყოს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკანდახევის არაერთი მაგალითი იყო, მათ შორის პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადება, რომ საქართველოში მიმდინარეობს არა მცოცავი ოკუპაცია, არამედ „ბორდერიზაცია.“**

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

დაცვამ საქმის დახურვა მოითხოვა

მერაბიშვილის საქმეზე თემურ პატარიძე დაიკითხა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, ყოფილი პრემიერის ვანო მერაბიშვილის საქმეზე გუშინ, ხუთი მოწმე დაიკითხა, მათ შორის - აჭარის კუდ-ის კონსტიტუციური დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი თემურ პატარიძე.

საქმე ამჯერად კვარიათის აგარაკის ეპიზოდს ეხება. ბრალდება მერაბიშვილს აღნიშნული აგარაკის მესაკუთრისთვის ჩამორთმევას ედავება.

გუშინდელი პროცესი თემურ პატარიძის დაკითხვის დროს დაიხურა. პატარიძის დაკითხვისას პროცესის დახურვის შუამდგომლობით მოსამართლეს ვანო მერაბიშვილის ადვოკატებმა მიმართეს.

დაცვის მხარის განმარტებით, აღნიშნული შუამდგომლობა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე დააყენეს, რადგან აგარაკზე ბევრი კონსპირაციული შეხვედრა იმართებოდა, რომელთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მიზანშეწონილი არ არის.

დაცვამ მოითხოვა პროცესის დახურვა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენ საუბარი გვაქვს კონსპირაციულ აგარაკზე, სადაც, საჭიროებიდან და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ისეთი შეხვედრები იმართებოდა, რომელთა შესახებაც საზოგადოებისთვის ღიად და ფართოდ ვერ იქნება ცნობილი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს იყო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისად, ისეთი კითხვების დასმა გვიწევს და შესაძლოა, ისეთი ინფორმაცია მოვისმინოთ, რომელიც ვერ გახდება ცნობილი ფართო მასებისთვის.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

„ევრომაიდანი„ აქტივისტების ცემას აპროტესტებს

ივა შილაკაძე

კიევსა და უკრაინის სხვა ქალაქებშიც შედარებით მინავლებული საპროტესტო ტალღის გააქტიურება გამოიწვია ოპოზიციის წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების მიმართ უცნობი პირების ანგარიშსწორებამ. განსაკუთრებული გამოხმაურება კიევის მახლობლად, ბორისპოლთან ჟურნალისტ ტატიანა ჩორნოვოლის ცემის ფაქტს მოჰყვა. ამ ფაქტის გამო აღშფოთება პრეზიდენტმა იანუკოვიჩმაც გამოთქვა და პროკურატურას საქმის სასწრაფოდ გამოძიება მოსთხოვა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ნაცემი ტატიანა ჩორნოვოლი

პრობლემები ევრაზიული კავშირის შიგნითაც გამოჩნდა

მოსკოვში ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საბჭოს სხდომა ჩატარდა, რომლის მსვლელობის დროსაც ყაზახეთის და ბელარუსის პრეზიდენტებმა პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ამ მთავარი ინტეგრაციული პროექტის მიმართ სერიოზული პრეტენზიები გამოთქვეს. ნათლად გამოჩნდა, რომ მათი ხედვა რუსეთის მიდგომისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მოსკოვის მიერ შეთავაზებული პროგრამის მასშტაბი ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე საბაჟო კავშირის დანარჩენი წევრების მოლოდინი.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი			1.6643⇓
1 ევრო			2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა			2.5933⇓
1 თურქული ლირა			0.8622⇓
100 რუსული რუბლი			5.0433⇓
თბილისი			7°C --30°C
ქუთაისი			8°C --2°C
ზუგდიდი			8°C - -1°C
ბათუმი			9°C --2°C
ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

რომან ფიფია: სოხუმის „დინამოზე„ არაფერი ვუწყოდით

გიგა გურასაშვილი

დაახლოებით ორი კვირის წინათ თბილისის დინამოს“ საფეხბურთო აკადემიის U-13 გუნდმა სანკტ-პეტერბურგში დემენტიევის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი (დინამიადა) მოიგო (ოთარ გაგნიძის გაწვრთნილმა გუნდმა დინამიადის ფინალში მოსკოვის დინამო“ - 3:2 დაამარცხა), მოგვიანებით კი გაირკვა, რომ სანკტ-პეტერბურგში სხვა „დინამოებს“ შორის ეგრეთ წოდებული აფხაზეთის რესპუბლიკის სოხუმის „დინამოც“ ყოფილა, რამაც ქართულ საფეხბურთო და არამარტო სამყაროში, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

თბილისის საერთაშორისო სიყვარული

პროექტი «თბილისო, მე შენ მიყვარხარ» «სიყვარულის ქალაქების» ფრენჩაიზის ნაწილი გახდა

ია ვეკუა

თბილისს რომ უყვარხარ, ქალაქში ჩამოსვლისთანავე იგებ - საერთაშორისო აეროპორტის კედლებსა და იატაკზე განთავსებული დევიზები სწორედ ამის შესახებ გატყობინებენ. სხვა საქმეა, რამდენად გრძელდება ეს სიყვარული თავად ქალაქთან, მის მაცხოვრებლებთან და უკაბელო ინტერნეტთან ურთიერთობის შემდეგ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სიყვარულის შესახებ მხოლოდ ქორის დონეზე აღარ საუბრობენ, მეტიც, ამის შესახებ ფილმი «სიყვარულის ქალაქების» (Cities of Love) კინოფრენჩაიზის ერთ-ერთი ნაწილი ოფიციალურად გახდა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

2008 წლის ომის შესახებ ტალიავინის კომისიის დასკვნა ქართულ ენაზე ოფიციალურად ითარგმნება

ტალიავინის კომისიის დასკვნა ქართულ ენაზე ოფიციალურად ითარგმნება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში განუცხადეს, მას შემდეგ, რაც დასრულდება თარგმანზე მუშაობა, ტექსტის კორექტირება და შესაბამისობაში მოვა ორიგინალთან, ტექსტი რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებგვერდზე გამოქვეყნდება და ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება.

აგვისტოს ომის დაწყების გარემოებათა დამდგენი საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის - ე.წ. ტალიავინის კომისიის დასკვნა, რომელიც 1000-ზე მეტი გვერდისგან შედგება, 2009 წლის 30 სექტემბერს გამოქვეყნდა. დასკვნა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე დაიწერა.

კომისიის დასკვნის არაოფიციალური თარგმანი სხვადასხვა ქართულმა მედიასაშუალებებმა და ორგანიზაციებმა გააკეთეს, თუმცა აქამდე ოფიციალური თარგმანი არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი ოფიციალურად არც რუსულ ენაზეა ნათარგმნი.

ევროკავშირის ეგიდით მოქმედი კომისია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა. კომისიის თავმჯდომარე იყო შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი. კომისიაში შედიოდნენ ასევე ექსპერტები სამხედრო და იურიდიულ საკითხებში, მათ შორის იყვნენ: ფრანგი გენერალი გილეს გალეტი, შვეიცარიელი გენერალი კრისტოფ კეჩკისი, გერმანიიდან ოტო ლუხტერჰანდტი და ენ პეტერსი, კომისიის შემადგენლობაში იყო ბრიტანელი პოლკოვნიკი კრისტოფერ ლანგტონიც.

ალექსანდრე ტაბატაძე თეა წულუკიანის მეხუთე მოადგილე იქნება

შინაგან საქმეთა მინისტრის უკვე ყოფილი მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მეხუთე მოადგილე იქნება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს.

უწყებაში ალექსანდრე ტაბატაძე აღსრულების პოლიციის, აგრეთვე ადამიანის ტრეფიკინგის უწყებათშორისი საბჭოს საქმიანობაზე იქნება პასუხისმგებელი.

ტაბატაძე იუსტიციის მინისტრის მოადგილის პოსტზე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის 23 დეკემბრის ბრძანებით დაინიშნა.

ალექსანდრე ტაბატაძე დაიბადა 1969 წელს ქალაქ თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მისი სამსახურებრივი კარიერა შს სამინისტროს ოპერატიული მუშაკის საქმიანობით დაიწყო; იყო შსს-ს ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ორგანიზებული შეიარაღებული დამნაშავეობის, ბანდიტიზმის, პროფესიონალური გამოძალვისა და დამნაშავეთა სამყაროს ლიდერების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების პროფესიონალური გამოძალვის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების ოპერატიული მუშაკი; ორგანიზებული დამნაშავეობის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის გამოძალვის მიზნით ადამიანის გამტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი ინსპექტორი; შემდეგ კი ორგანიზებულ დანაშაულსა და კორუფციასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის სამმართველოს, სახელმწიფოთაშორისო კავშირების მქონე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

1996-2001 წლებში ალექსანდრე ტაბატაძე მუშაობდა ქ. რუსთავის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ ? უფროსად; ქ. თბილისის კრიმინალური პოლიციის სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის უფროსის მოადგილედ; ქ. თბილისის საბურთალოსა და ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს უფროსის თანამდებობებზე.

2001-2004 წლებში იგი იყო ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსი; 2004 წლიდან ? შსს-ს აკადემიის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კათედრის უფროსი.

2006 წლიდან ალექსანდრე ტაბატაძე აჭარაში აგრძელებს საქმიანობას:

2007-2008 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეა.

2012- 2013 წლებში ალექსანდრე ტაბატაძე შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მოადგილე იყო.

სახალხო დამცველი: უმჯობესი იქნებოდა, უგულავას საქმე მხარეთა დასწრებით განხილულიყო

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი მიიჩნევს, რომ თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე, 00:15 საათზე განხილვის აუცილებლობა არ არსებობდა.

„აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, მსგავსი შუამდგომლობა მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილოს, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საქმისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, საქმე ეხება პირდაპირი არჩევნებით არჩეული თბილისის მერის თანამდებობას და ამ განჩინების მიღებამდე რამდენიმე საათით ადრე იმავე მოსამართლემ მხარეთა მონაწილეობით განიხილა მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ, უმჯობესი იქნებოდა, თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობა ასევე მხარეთა დასწრებით განხილულიყო და დაცვის მხარეს საკუთარი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა მისცემოდა. მით უმეტეს, გაუგებარია, რა გახდა თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის 00:15 საათზე განხილვის აუცილებლობის მიზეზი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარეთა თანასწორობისა და წმინდა შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპს ემყარება და მნიშვნელოვანია, თითოეულმა მოსამართლემ ნებისმიერი საქმის განხილვისას ამ პრინციპით იხელმძღვანელოს. ამასთან, თითოეული მოსამართლის ვალდებულებაა, აამაღლოს სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხი, რისი უალტერნატივო წინაპირობაა სასამართლო ხელისუფლების განხორციელება კანონიერების, კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ არ არსებობდა თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე, 00:15 საათზე განხილვის აუცილებლობა და მნიშვნელოვანი იყო, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და პირდაპირის არჩევნების გზით არჩეული თანამდებობის პირის საქმეზე სასამართლოს პროცესის მონაწილე მხარეებისთვის მოესმინა,“ - ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

უგულავასთვის მერის უფლებამოსილების მხარეთა თანამონაწილეობის გარეშე შეჩერებას არც ექსპერტი კახი კახიშვილი იწონებს. თუმცა, როგორც კახიშვილი ამბობს, არსებული სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების მიღების უფლება ჰქონდა.

ექსპერტის თქმით, სასამართლომ უგულავასთვის თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერების გადაწყვეტილება «ნაციონალური მოძრაობის» მიერ მოწონებული კოდექსის შესაბამისად მიიღო.

„გიგი უგულავას საკითხი იმ სასამართლომ განიხილა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ თავად აქებდა 9 წლის განმავლობაში და სასამართლომ საკითხი განიხილა იმ კოდექსით, რომელიც თავად მათ მოსწონდათ და მიიღეს კიდეც ხელისუფლებაში ყოფნის დროს. სანამ საკუთარ თავზე არ იწვნიეს, მანამდე ვერ მიხვდნენ, რომ ეს უსამართლობაა,“ - აღნიშნა კახიშვილმა.

რაც შეეხება თავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, კახიშვილის შეფასებით, მოქმედი კოდექსი აუცილებლად შესაცვლელია, რადგან ის დაცვის მხარეს არგუმენტების წარდგენის საშუალებას არ აძლევს.

„გარდამავალი პერიოდი ყოველთვის რთულია“

ეკონომიკის მინისტრმა 2013 წელი აჯამა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ წლიური ანგარიში წარმოადგინა. კვირიკაშვილის შეფასებით, 2013 წელი ქართული ეკონომიკისთვის გარდამავალი პერიოდი იყო, როდესაც მთავრობამ ქართული ეკონომიკისა და ბიზნესის პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლება უზრუნველყო. მინისტრის თქმით, შექმნა გარემო, სადაც მეწარმეს საშუალება აქვს, საკუთარი ბიზნესის განვითარების პრიორიტეტები თავად განსაზღვროს და კერძო საკუთრების უფლებები დაცულია. **„გარდამავალი პერიოდი ყოველთვის რთულია, განსაკუთრებით ბიზნესისთვის და შესაბამისად, ეკონომიკისთვის. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ამ პროცესს თან ახლავს ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური ვითარება,** - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ეკონომიკის მინისტრის შეფასებით, წლის მეორე ნახევარში ადგილობრივმა და უცხოურმა ბიზნესმა ახალი მთავრობის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობები დაინახეს, ამიტომ ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღება შეინიშნება. კვირიკაშვილის მონაცემებით, კერძო სექტორში საწარმოთა ბრუნვა მესამე კვარტალში, მეორე კვარტალთან შედარებით, 8.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პირველ კვარტალთან შედარებით - 24 პროცენტით. მინისტრი აზუსტებს, რომ 9 თვის მონაცემებით, კერძო სექტორში საწარმოთა ბრუნვამ 30 მილიარდი ლარი შეადგინა. მისი თქმით, მესამე კვარტალში, ასევე გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა, რაც 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 20 პროცენტით აღემატება.

საგარეო სავაჭრო ბრუნვამ კი, როგორც კვირიკაშვილი ამბობს, 2013 წლის 11 თვის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 4 პროცენტით გადააჭარბა. ამასთან, მინისტრი მიუთითებს, რომ ექსპორტი 20 პროცენტით არის გაზრდილი და 2.6 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც საქართველოს ექსპორტისთვის რეკორდული მაჩვენებელია. **„ევროკავშირში ქართული პროდუქციის ექსპორტი, 11 თვის მონაცემებით, 65 პროცენტით გაიზარდა და 540 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ასევე თითქმის სამჯერ გაიზარდა ექსპორტი რუსეთში და 161 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა,“** - დასძენს მინისტრი.

კვირიკაშვილი წლის ბოლოსთვის 2.5-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდას ელოდება. რაც შეეხება ეკონომიკის ძირითად შემადგენელს, როგორც მინისტრი აღნიშნავს, მშპ-ს სტრუქტურაში პირველ ადგილს მრეწველობა იკავებს, ხოლო სოფლის მეურნეობა ყველაზე მზარდ სექტორს წარმოადგენს.

გიორგი კვირიკაშვილი ასევე ყურადღებას ამახვილებს წარმატებულ ნაბიჯებზე და უპირველეს ყოვლისა ასოცირების შეთანხმების პარაფირებას გამოყოფს, რომლის შემადგენელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება. **„ეს იმას ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში ქართულ ბიზნესს ევროკავშირის, 500 მილიონზე მეტი ადამიანით დასახლებული, ყველაზე მსყიდველობითი ბაზარი გაეხსნება, რის შედეგადაც ახალ წარმოებს, მეტი მოქალაქის დასაქმებას, გაზრდილ ექსპორტს და ახალ ინვესტიციებს მივიღებთ. ეს კი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური და შეუქცევადი ზრდის გარანტი იქნება,“** - ამბობს გიორგი კვირიკაშვილი.

მინისტრი აღნიშნავს, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში ეკონომიკის სამინისტროს კომპეტენციაში ხარისხის ეროვნული სისტემის განვითარებაც შედის. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ევროკავშირში არსებულ ნორმებთან ინსტიტუციური და საკანონმდებლო დაახლოება ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის ზრდისა და საქართველოში წარმოებული პროდუქტის კონკურენტუნარიანობისთვის მნიშვნელოვანია. **„შემუშავდა და მიღებულია აკრედიტაციის 12 წესი, რომლებიც სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. ადგილობრივი წარმოების დაცვის სამართლიანი და ტრანსფარენტული მექანიზმების შექმნის მიზნით მომზადდა საერთაშორისო ვალდებულებების და მოთხოვნების შესაბამისი კანონპროექტი - ვაჭრობაში დაცვითი ღონისძიებების შემოღების შესახებ,“** - აზუსტებს კვირიკაშვილი.

რაც შეეხება დაგეგმილ ნაბიჯებს, მინისტრის ინფორმაციით, ხელისუფლება სამშენებლო სფეროს მოწესრიგების მიმართულებით მნიშვნელოვან ცვლილებებს იწყებს. **ჩვენი მიზანია, საქართველოს სივრცითი მოწყობის საკითხები დარეგულირდეს და საქართველოს ქალაქებისა და რეგიონების განვითარების გეგმები შემუშავდეს, ისე რომ ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებები გათვალისწინებული იყოს. ამასთან, დეველოპერული საქმიანობისთვის სტაბილური გარემო უნდა შეიქმნას. გვინდა, რომ შენობები, რომლებიც საქართველოში აშენდება, უსაფრთხო იყოს და ამისთვის სამშენებლო საქმიანობის რეგულირებაა საჭირო. ამ მიზნით პრაქტიკულად დავასრულეთ მუშაობა სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ პროექტზე. კანონპროექტის მომზადებაში ჩართულები იყვნენ, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დარგის ექსპერტები და იურისტები. პროფესიულ საზოგადოებასთან და დაინტერესებულ მხარეებთან რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. კანონპროექტის განხილვა პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს სამშენებლო-ტექნიკური რეგლამენტების დამუშავების მიმართულებითაც. გვინდა, რომ საქართველოში ეტაპობრივად დავნერგოთ ევროპული და საერთაშორისო მშენებლობის ნორმები,“** - თქვა კვირიკაშვილმა.

ეკონომიკის მინისტრი მთავრობის ეკონომიკური გუნდის მთავარ სისუსტედ სიცხადის ნაკლებობას მიიჩნევს. **ალბათ, უფრო მკაფიოდ უნდა ყოფილიყო გაცხადებული ის გეგმები და პოლიტიკა, რომელიც მთავრობას გააჩნდა. თავდაპირველად კოორდინაციის პრობლემაც იყო, მაგრამ ახლა უკვე აღარაა. პრემიერ-მინისტრს ინტენსიურ რეჟიმში ვხვდებით,“** - ამბობს მინისტრი.

გიორგი კვირიკაშვილი წლის განმავლობაში გატარებულ სხვა ღონისძიებებზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი ინფორმაციით, ეკონომიკის სამინისტროს ინიციატივით 2013 წელს ინვესტორებს 16 მლნ აშშ დოლარსა და 6.5 მლნ ლარზე მეტი ოდენობის პირგასამტეხლო ეპატიათ. შედეგად, როგორც კვირიკაშვილი ამბობს, 360 მლნ აშშ დოლარზე მეტი ოდენობის საინვესტიციო პროექტები განახლდა. ამ საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ეკონომიკის სამინისტროს თაოსნობით შექმნილი კომისიის მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი. კომისია სახელმწიფო ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ საკითხებს სწავლობდა.

კვირიკაშვილი გახმაურებულ პროექტებზეც ამახვილებს ყურადღებას. მართალია, კოალიცია „ქართული ოცნება“ ქალაქ ლაზიკას მშენებლობას მწვავედ უპირისპირდებოდა, თუმცა მთავრობა ანაკლიაში პორტის და ახლა უკვე აეროპორტის მშენებლობის დაწყების მომხრეა. როგორც გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, ანაკლიაში საერთაშორისო აეროპორტი აშენდება. **„ფოთის აეროპორტის პროექტი, სამწუხაროდ, აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო, ვინაიდან ეს ფრინველთა გადაფრენის და ჭაობიანი ზონაა. მძლავრი, მაღალი შესაძლებლობების მქონე საერთაშორისო აეროპორტი ანაკლიის პორტთან აშენდება და ვფიქრობ, რეგიონში ორი ასეთი აეროპორტის საჭიროება არ არსებობს. ანაკლიის საერთაშორისო აეროპორტს სატვირთო გადაზიდვების მიმართულებით განსაკუთრებული შესაძლებლობები ექნება,“** - თქვა კვირიკაშვილმა.

კვირიკაშვილს უპასუხოდ არც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საკითხი დაუტოვებია. მინისტრის ინფორმაციით, სახელმწიფოს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერატორ კომპანია „ტავ ჯორჯიასთან“ საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატი აკავშირებს, რაც აეროპორტის აშენებას, ოპერირებას და სახელმწიფოსთვის გადაცემას გულისხმობს. **„კომპანიას აეროპორტი უნდა აეშენებინა, მაღალი ხარისხის ოპერირება გაეწია და რაღაც პერიოდის შემდეგ აეროპორტი სახელმწიფოსთვის გადაეცა. მოვიწვიეთ მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ექსპერტები, რომლებმაც თქვეს, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობის მუდმივი განახლება ხდება. საუბარი არ არის იმაზე, რომ ჩვენ ხელშეკრულებას არ ვაღიარებთ, მაგრამ საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში სახელმწიფოს მმართველი კომპანიის მიმართ კონკრეტული მოთხოვნები უჩნდება,“** - თქვა გიორგი კვირიკაშვილმა.

როგორც მინისტრი ამბობს, სახელმწიფომ „ტავ ჯორჯიას“ საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული მოთხოვნები წაუყენა, რისთვისაც სპეციალური კომპანია დაიქირავა. თუმცა, კვირიკაშვილის ინფორმაციით, „ტავ ჯორჯიას“ სახელმწიფოს მოთხოვნებზე დათანხმება გაუჭირდა. **„არსებული ხელშეკრულება კომპანიას აბსოლუტურად ასიმეტრიულ მოქნილობას აძლევს - ეს არის მათი მხრიდან არარეგლამენტირებული საქმიანობა, რაც საჯარო-კერძო პარტნიორობის შემთხვევაში, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ყოვლად დაუშვებელია. დღეს საკმაოდ რთულ ფაზაში ვართ, მაგრამ გრძელვადიანი პარტნიორობის სქემაზე შეთანხმების დიდი სურვილი გვაქვს. „ტავ“-ი საქართველოში დარჩეს და აეროპორტს გაუწიოს ოპერირება, თუმცა იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც სრულიად ბუნებრივია და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას შეესაბამება,“** - აღნიშნა კვირიკაშვილმა.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ტერმინებში ნათქვამი პოზიცია

ეს ყველაფერი საერთო სურათს ქმნის. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ამ საერთო სურათში უკანდახევა არ გაგრძელდეს,“ - აღნიშნა კანდელაკმა. პარლამენტარი საკანონმდებლო ცვლილებაში, „გამყოფი ხაზის“ ნაცვლად, „საოკუპაციო ხაზის“ გამოყენების ინიციატივით გამოვიდა.

კანონპროექტის მომხსენებლის, მთავრობის საპარლამენტო მდივან შალვა თადუმაძის განმარტებით, შესაბამის სამინისტროებთან და იურიდიულ სამსახურებთან კონსულტაციების შედეგად გაირკვა, რომ ტერმინი „გამყოფი ხაზი“ იურიდიულად სრულად გამართლებულია. თადუმაძის თქმით, ტერმინი პირველად 2010 წელს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით მიღებულ სახელმწიფო სტრატეგიაში იყო გამოყენებული. როგორც თადუმაძე აღნიშნავს, სტრატეგიის დოკუმენტის ტერმინთა განმარტებაში კი ნათქვამია, რომ „გამყოფი ხაზი“ ოკუპანტი ძალის მიერ შექმნილი საოკუპაციო ხაზია, რომლითაც ოკუპირებული ტერიტორიები დანარჩენი საქართველოსგან გამოყოფილია. **„შემდეგ ეს ტერმინი 2011 წელს საქართველოს უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტში აისახა. ასევე, გამოყენებული იყო 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში,“** - დასძენს თადუმაძე.

გიორგი კანდელაკის აზრით, თუ წარსულში არასწორი ტერმინები გაიპარა, ისინი უნდა გამოსწორდეს. ამასთან, როგორც კანდელაკმა თქვა, საჭიროა იმის აღიარება, რომ სახელმწიფოს თავისი ინტერესების შესაბამისი ფორმულირების ჩამოსაყალიბებლად გარკვეული დრო დასჭირდა.

უმცირესობის წევრი გიორგი ვაშაძე მიიჩნევდა, რომ უმრავლესობასთან პოზიციების შეჯერება მართლაც შესაძლებელი იყო. „ნაციონალური მოძრაობა“ უმრავლესობას შუალედური ფორმულირების გამოყენებასაც სთავაზობდა. ოპოზიციას მისაღებად მიაჩნდა, თუკი საკანონმდებლო ცვლილებაში ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლები ჩაიწერებოდა და გამყოფი ან საოკუპაციო ხაზი ნახსენები არ იქნებოდა.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ვანო კიღურაძემ კი აღნიშნა, რომ კომიტეტი მთავრობის ამ მეტად დროულ ინიციატივას მხარს უჭერს. **„არ მინდა, ეს კარგი საქმე უაზრო ტერმინების საკითხით დაიჩრდილოს. მინდა, საოკუპაციო ძალის მიერ დაზარალებულმა სტუდენტებმა იგრძნონ და დაინახონ, რომ მთავრობა მათზე ზრუნავს,“** - თქვა კიღურაძემ.

ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ წევრმა ფრიდონ საყვარელიძემ „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიცია რომაელი სენატორის კატონ უფროსის გამოსვლას შეადარა, რომელიც თავის ყველა გამოსვლას ამთავრებდა სიტყვებით: „კართაგენი უნდა დაინგრეს!“ როგორც საყვარელიძე აღნიშნავს, დღეს ასეთი დამოკიდებულება არასერიოზულია.

ფრიდონ საყვარელიძის საპასუხოდ უმცირესობის წევრმა სერგო რატიანმა უმრავლესობის წევრებს მიმართა: „დიახ, კართაგენი უნდა დაინგრეს!“ როგორც რატიანი ამბობს, რომ არა რუსეთის ქმედებები, ეს კანონპროექტი საერთოდ არ იარსებებდა. დეპუტატის განმარტებით, „გამყოფი ხაზი“ გეოგრაფიული ტერმინია და მასში შეფასება მოცემული არ არის. რატიანის აზრით, შეფასების დამკვიდრება მნიშვნელოვანია.

„გამყოფ ხაზსა“ და „საოკუპაციო ხაზს“ შორის არსებულ განსხვავებებზე ამახვილებს ყურადღებას უმცირესობის კიდევ ერთი წევრი დავით დარჩიაშვილი.

“გამყოფი ხაზი“ აღიქმება, როგორც ქვეყნის შიგნით საზოგადოების გაყოფის მაჩვენებელი და არა, როგორც საოკუპაციო ძალის ქმედების შედეგი. რუსული გამოთქმაა: რასაც კალმით დაწერ, ნაჯახით ვერ ამოშლიო. თუ თქვენთვის ეს პრინციპული საკითხი არ არის, რა გახდა, რომ კანონპროექტიდან „გამყოფი ხაზი“ ამოვიღოთ,“ - მიმართავს უმრავლესობის წევრებს დარჩიაშვილი.

პარლამენტარების გამოსვლებს შორის მიკროფონით ისარგებლა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. როგორც მან აღნიშნა, სხდომის თავმჯდომარის ერთ-ერთი ვალდებულება საკითხის შეჯერებაზე ზრუნვაა.

„მინდა, სიცხადე შევიტანოთ. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ვიხილავთ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონს, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სოციალური დახმარების მიცემას ეხება, ეს არის კანონპროექტის არსი. ყველა სხვა დანარჩენი საკითხი შესაძლოა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ან უფრო მნიშვნელოვანია, გააჩნია, საიდან შევხედავთ... ისიც იკვეთება, რომ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში სხვადასხვა ტერმინები გამოიყენება - „გამყოფი ხაზი,“ „საოკუპაციო ხაზი“ და სხვ. იქნებ, ეს კანონპროექტი ამ საკითხებით არ დაგვეტვირთა, რადგან ამ თემაზე სპეციალურად „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი გვაქვს. ან, შესაძლებელია, სპეციალური კანონპროექტის შესახებ ვიფიქროთ და გადავწყვიტოთ, ამ „ხაზს“ რა დავარქვათ. თუმცა, ახლა იმის თქმა მინდა, რომ მთავარია, საკითხი, რომელსაც უშუალოდ კანონი ეხება, მიუღებელი ან განუხილველი არ დაგვრჩეს. მით უმეტეს, ორივე მხარე ამბობს, რომ ორივე ტერმინი გამოიყენება. მინდა, შევჯერდეთ. ჯობს, ოკუპაციის საკითხებზე თავის დროზე და ადგილზე ვიმსჯელოთ და არა განათლების კანონპროექტის განხილვისას,“ - ამბობს უსუფაშვილი.

სპიკერის მოწოდების შემდეგ უმცირესობის წევრებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ მზად იყვნენ, მხარი დაეჭირათ კანონპროექტისთვის, თუკი მასში, „გამყოფი ხაზის“ ნაცვლად, არა „საოკუპაციო ხაზი“, არამედ თუნდაც „ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმდებარე სოფლები“ იქნება ნახსენები. უმცირესობის წევრი აკაკი მინაშვილი ვანო კიღურაძეს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ **„ვანო კიღურაძემ უაზრობა უწოდა ტერმინოლოგიას, რაც დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია.“**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია კი, პირველ რიგში, კანონპროექტის დადებით დატვირთვაზე ამახვილებს ყურადღებას. დეპუტატის შეფასებით, ეს ხელისუფლების მიერ ადამიანებზე ზრუნვის გამოხატულებაა. რაც შეეხება ტერმინოლოგიას, როგორც ქანთარია ამბობს, ქართულად - „ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზი“ სწორი ტერმინია, თუმცა კიდევ „საოკუპაციო ხაზის“ დამატების შემთხვევაში წინადადება გამართული არ იქნება. **„იმის შესახებ საუბარი, რომ ნებისმიერ კანონში ჩავდოთ სიტყვები - ეს „საზიზღარი მეზობელი სახელმწიფო,“ სწორი არ იქნება, ჩვენ ასეთი პოლიტიკა არ გვაქვს და ჩვენი მთავრობის ქმედებებმა ერთი წლის თავზე შედეგი გამოიღო. აკაკი მინაშვილმა თქვა, რომ რუსეთს კიდევ ერთხელ დავარტყათო, მაგრამ თუკი დაარტყამ, უნდა დაადგო კიდეც. თქვენი მოქმედებით რაც მივიღეთ, ყველამ ვნახეთ,“** - თქვა ნუკრი ქანთარიამ. მანვე დასძინა, რომ მზად არის, გაიზიაროს წინადადება, რომლის თანახმადაც, ცვლილებაში „გამყოფი ხაზის“ ნაცვლად „ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმდებარე სოფლები“ ჩაიწერება.

შეთანხმების მიღწევა საბოლოოდ მაინც ვერ მოხერხდა. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გია ვოლსკიმ უმცირესობის წინადადება მიუღებლად მიიჩნია.

„ვიღაც ვერ მიხვდა, რა შუაშია საკითხის ასე დაყენება - „გამყოფი ხაზი“ იქნება თუ „საოკუპაციო ხაზი.“ სინამდვილეში, ეს ტერმინი არა მხოლოდ საკითხის მნიშვნელობაზე, არამედ ორ კონცეფციას შორის განსხვავებაზე მიუთითებს, რომელიც

„ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ შორის არსებობს. ტერმინებით ომს ხომ არ სჯობს, იმ გზით წავიდეთ, რომ არ გამოვიყენოთ ისეთი ტერმინები, რომლებიც აფხაზებთან და ოსებთან კარს ჩაგვიკეტავს. კარი ღია უნდა დავტოვოთ, მათ შორის - რუსებთან სასაუბროდ. ამიტომ, მიმაჩნია, რომ კანონპროექტში „გამყოფი ხაზი“ უნდა შენარჩუნდეს,“ - ამბობს გია ვოლსკი.

პარლამენტის თავმჯდომარის მიმართვის მიუხედავად, კანონპროექტის მომხსენებელმა შემაჯამებელი სიტყვის უფლებით არ ისარგებლა, მან ვოლსკის პოზიცია გაიზიარა.

დაცვამ საქმის დახურვა მოითხოვა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ეს აგარაკი კონსპირაციულ ობიექტს წარმოადგენდა. რაც შეეხება გარემონტებას, გარემონტდა, ბუნებრივია, შსს-ს სახსრებით, ამას არ უარვყოფთ, - აღნიშნა ვანო მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა.

ბრალდების მხარის განცხადებით, თემურ პატარიძემ მერაბიშვილის ბრალეულობა დაადასტურა.

პროკურორის თქმით, აჭარის კუდ-ის ყოფილმა უფროსმა განაცხადა, რომ კვარიათის აგარაკისთვის კედლების ფერს მერაბიშვილის ცოლი თაკო სალაყაია არჩევდა.

ვანო მერაბიშვილი ადვოკატ ოთარ კახიძის თქმით, პატარიძემ ურთიერთგამომრიცხავი ჩვენება მისცა. პროკურატურამ კი აღნიშნულ მოწმეზე ზეწოლა განახორციელა. დაცვის მხარემ ისიც აღნიშნა, რომ მათთვის უცნობი იყო დასაკითხი პირების სია, რამაც ადვოკატებს დაცვის განხორციელებაში ხელი შეუშალა.

ამასთან, გუშინდელ პროცესზე პროკურატურის მიერ წარმოდგენილმა ერთ-ერთმა მოწმემ კვარიათის აგარაკზე მერაბიშვილის ოჯახის დასვენების ფაქტი დაადასტურა.

მოწმის განცხადებით, 2009 წლის 20 მაისს, ის და მისი მეუღლე აგარაკზე იმყოფებოდნენ, როდესაც ტერიტორიაზე 20 ნიღბიანი პირი შევიდა.

აგარაკის პატრონმა მე და ჩემს ქმარს იქ ცხოვრების უფლება მოგვცა. მე იქ მოსამსახურე ვიყავი, ჩემი მეუღლე კი დარაჯად მუშაობდა. ნიღბიანებმა ჩემი ქმარი წაიყვანეს და კითხავდნენ. ამის შემდეგ აგარაკიდან წამოვედით. ვხედავდი, მერაბიშვილის ცოლი, შვილთან ერთად, აგარაკზე როგორ ისვენებდა. დაცვა ჩვენ იმ ადგილს არ გვაკარებდა. როდესაც სახლი მეპატრონეს დაუბრუნდა, იქ ჩვენც დავბრუნდით, თუმცა 15 000 ლარი შუქის ფული დაგვხვდა გადასახდელი, - განაცხადა ბრალდების მოწმემ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გუშინდელი პროცესი ზურაბ ჭიაბერაშვილის სიტყვით გამოსვლთ დაიწყო. მან საქმეს კიდევ ერთხელ უწოდა პოლიტიკურად მოტივირებული და მთავარი პროკურორის, როგორც სახელმწიფო მბრალდებლის, ნასამართლებაზეც გაამახვილა ყურადღება.

ჭიაბერაშვილმა ბრალდების მხარეს თანაგრძნობა გამოუცხადა, იმის გამო, რომ მათ ნაყაჩაღარი და ნასამართლევი პროკურორის ხელმძღვანელობით უწევთ მუშაობა.

კახეთის ყოფილმა გუბერნატორმა მოსამართლე ნათია ბარბაქაძესაც მიმართა და აღნიშნა, რომ რთულია, როდესაც პოლიტიკური სასამართლო პროცესის წარმართვა და განაჩენის გამოტანა გიწევს.

„გითანაგრძნობთ, რომ რთული პოლიტიკური მნიშვნელობის სასამართლოს ხელმძღვანელობა გხვდათ წილად. ჩვენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი ვართ. ამის გამო თქვენ გიჭირთ, სისხლის სამართლის ჩარჩოებში მოგვაქციოთ. ეს პოლიტიკური პროცესია და გითანაგრძნობთ. აქვე მინდა, ვთქვა, რომ არ ვაპირებ უცხოეთში წასვლას და რამე ბილეთის დაჯავშნას. მინდა, ეს წინმსწრებად ვთქვა, რათა შემდეგ იგივე არ მოხდეს, რაც ხარშილაძის შემთხვევაში, - აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

გუშინდელ სასამართლო პროცესს ვანო მერაბიშვილი არ დასწრებია. კვარიათის აგარაკის ეპიზოდზე ბრალდების მოწმეების დაკითხვა 27 დეკემბერს, 12:00 საათზე განახლდება.

გუშინ საქართველოს პატრიარქის ინტრონიზაციის 36 წლის იუბილე აღინიშნა

მართლმადიდებელმა ეკლესიამ გუშინ წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხსენების დღე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაციის 36 წლის იუბილე აღნიშნა.

ამასთან დაკავშირებით ტაძრებში ღვთისმსახურება გაიმართა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საღმრთო ლიტურგია ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში აღავლინა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ინტრონიზაცია 1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოხდა და ილია მეორე ეწოდა.

წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელი მე-4 საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი ერეტიკოსებისგან ყოვლადწმინდა სამების ერთარსებობის დოგმატს იცავდა. მან სიცოცხლეშივე მრავალი სასწაული აღასრულა და დღესაც აღესრულება მისი წმინდა ნაწილებიდან კუნძულ კორფუსზე, მისივე სახელობის ტაძარში. იგი საბერძნეთის მფარველად მიიჩნევა.

წამლების რეცეპტით სავალდებულო გაცემის პროცესი 2014 წლიდან ეტაპობრივად განხორციელდება

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განმარტებით, წამლების მხოლოდ რეცეპტით გაცემის პროცესი 2014 წლიდან ეტაპობრივად დაიწყება.

გუშინ მინისტრი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს გამოეხმაურა, რომლებიც ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტმა მოამზადა და განსახილველად პარლამეტს უკვე წარუდგინა. საუბარია აღნიშნულ კანონში განხორციელებულ ცვლილებებზე, რომლის მიხედვითაც, რამდენიმე ათასი სამკურნალო საშუალება რეცეპტით სავალდებულო გაცემას დაექვემდებარა. კანონის შესაბამისი ნორმა ძალაში 1 იანვრიდან შედიოდა, თუმცა კომიტეტის მიერ მომზადებული ახალი პროექტის გათვალისწინებით, წამლების ურეცეპტოდ გაცემის ამკრძალავი ნორმის ამოქმედების ვადა 1 სექტემბისკენ გადადის.

როგორც მინისტრი განმარტავს, წამლის რეცეპტით სავალდებულო გაყიდვის პროცესი 1 იანვრიდან ეტაპობრივად დაიწყება, გადავადება კი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ კანონის არსებული ფორმულირებით, აღნიშნული აკრძალვა მეორე ჯგუფს მიკუთვნებულ ფარმაცევტულ პროდუქციაზე მთლიანად ვრცელდება. ასეთ შემთხვევაში კი შედეგად მინისტრი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებთან რიგების წარმოქმნას ელის.

„მთავარი მოტივაცია ის არის, რომ ჯერჯერობით, დღევანდელი მდგომარეობით, ბავშვების და ხანდაზმულების სამედიცინო მომსახურების ადმინისტრირებას ისევ კერძო სადაზღვევო კომპანიები უზრუნველყოფენ და ასეთ ადამიანებს სამედიცინო დაწესებულების არჩევანი არ აქვთ. ბავშვებისა და მოხუცების შემთხვევაში, ეს რიგების გაორმაგებას გამოიწვევდა. ძალიან მალე საქართველოს ყველა მოქალაქეს სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევანის უფლება ექნება, რაც აღნიშნულ რისკს მოხსნის და ყველაფერი გეგმის მიხედვით წავა,“ - განუცხადა ჟურნალისტებს დავით სერგეენკომ.

ხორცპროდუქტების ქარხნების - „ვაკეს“, შპს „მადიანის“ და შპს „ვერძის“ დირექტორები პასუხისგებაში მისცეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისცეს შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა ვაკეს“ დირექტორი, შპს „მადიანის“ დირექტორი , შპს „მადიანის“ ტექნოლოგი და შპს „ვერძის“ დირექტორი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, საქართველოს ტერიტორიაზე გატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოვლენილი ფალსიფიკაციის ფაქტებზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა ვაკეს“ დირექტორი ლევან ჩხაიძე, შპს „მადიანის“ დირექტორი მამუკა პირველაშვილი, შპს „მადიანის“ ტექნოლოგი გელა ვაჩეიშვილი და შპს „ვერძის“ დირექტორი მახარე ლემონჯავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა ვაკეს“ მიერ წარმოებული: ძეხვები: „ვაკე სერველადი“ და „პაპრიკა“, სოსისები: „ვაკე ივერია კოლაგენში“ და „ვაკე საგაზაფხულო“, „საგაზაფხულო“, სარდელი „შპიკი“; შპს „მადიანის“ მიერ წარმოებული: ძეხვი „მადიანი სუფრული“, სოსისები „სპეცი“, „ივერია“, „მადიანი საბავშვო“, „გურმანი“, „ჰანოვერი“, „საბავშვო“; შპს „ვერძის“ მიერ წარმოებული ძეხვები „ტეხურა“, „კრაკოვური“, „მოყვარულთა“, „დელიკატესური“, „მონადირული“, სოსისი „ტეხურა“, ნახევარფაბრიკატი ქაბაბი და გუფთა, თვითღირებულების შემცირების მიზნით, ხშირ შემთხვევაში დამზადებულია წყლისა და სახამებლის დადგენილ ნორმებზე მეტი რაოდენობის შერევით, ჩატარებული ქიმიური და მიკრობიოლოგიური ექსპერტიზით არის ფალსიფიცირებული, მოხმარებისათვის უვარგისი და სტანდარტებთან შეუსაბამო. ასევე, რიგ სახეობებში აღმოჩნდა სანიტარიული წესებითა და ნორმებით დადგენილზე მეტი ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიების (კოლიფორმები) რაოდენობა.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის I ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთიდან ხუთ წლამდე ვადით.

ირანის პარლამენტი დედაქალაქის თეირანიდან გადატანის საკითხს განიხილავს

ირანის მედიის ინფორმაციით, ქვეყნის პარლამენტი კიდევ ერთხელ განიხილავს დედაქალაქის თეირანიდან გადატანის საკითხს. ამ განხილვის მთავარ მიზეზად ე.წ „დიდი თეირანის“ გადატვირთვა და ჰაერის დაბინძურება სახელდება. თეირანში 12 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. თუ კანონმდებლები ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერენ, მაშინ სპეციალური კომისია შეიქმნება, რომელიც ორი წლის განმავლობაში განიხილავს ახალი ადმინისტრაციული ცენტრის საკითხს. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ დედაქალაქს ქალაქ ფარანდში გადაიტანდნენ, რომელიც თერანის სამხრეთ-დასავლეთით 35 კმ-ში მდებარეობს.

ისრაელის ავიაციამ ღაზაში შეიარაღებული მებრძოლების ბანაკი დაბომბა

ისრაელის ავიაციამ ღაზას სექტორში მოქმედ შეიარაღებული მებრძოლების ორ საწრთვნელ ბანაკზე მიიტანა იერიში. მანამდე კი სნაიპერის ტყვიას ისრაელის მოქალაქე ემსხვერპლა. ამ შემთხვევამდე ორი დღი ადრე ისრაელის სამგზავრო ავტობუსში ბომბი ამოქმედა, რასაც, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია. ისრაელის არმიის პრესსამსახურმა საპასუხო იერიშის შესახებ ინფორმაცია დაადასტურა. მანამდე ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ეს ინციდენტი პასუხგაუცემელი არ დარჩებოდა. მოგვიანებით „როიტერის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამ იერიშს პალესტინელი გოგონა ემსხვერპლა. ღაზას საავადმყოფოს წარმომადგენლების ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ განხორციელებულ საჰაერო იერიშს 3 წლის გოგონა ემსხვერპლა. ის ახლოს იდგა იმ ბანაკთან, რომელზეც იერიში მიიტანეს ისრაელის საჰერო ძალებმა. გავრცელებულ განცხადებაში დაჯგუფება „ჰამასმა“ გოგონას მკვლელობა დაგმო და „მხდალი მოქმედება“ უწოდა.

შობის წინ სტიქიას კანადასა და ამერიკაში მსხვერპლი მოჰყვა

ძლიერი თოვლის გამო ამერიკასა და კანადაში შობის წინ 500 000-ზე მეტი სახლის მცხოვრებლები ელექტროენერგიის გარეშე დარჩნენ. ბოლო ინფორმაციით, უამინდობას ამერიკაში 17 ადამიანი, კანადაში კი 5 ადამიანი ემსხვერპლა. ძლიერი თოვლის გამო კანადის რამდენიმე აეროპორტში ავიარეისები გადაიდო. ამერიკის შტატებში მიჩიგანში, ოჰაიოში და ინდიანაში წვიმისა და თოვლის გამო ჩაიკეტა გზები.

ეგვიპტის ყოფილი პრემიერ დააპატიმრეს

ეგვიპტის პოლიციამ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჰაშიმ ქანდილი საკუთარ სახლში აიყვანა. ქანდილი პრეზიდენტმა მოჰამედ მურსიმ 2012 წელს დანიშნა პრემიერად. „სი-ენ-ენ“-ის ინფორმაციით, ქანდილის ცხიხში ერთი წლის გატარება მოუწევს: მას კერძო კომპანიების ნაციონალიზაციის ჩავარდნაში ადანაშაულებენ.

ცნობისათვის - მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი არმიამ ხელისუფლებას 3 ივლისს ჩამოაშორა. მას შემდეგ ქვეყანაში „მუსლიმი ძმების“ არაერთი წარმომადგენელი დააპატიმრეს. პრეზიდენტ მურსის და მის გარემოცვას გასულ დეკემბერს გამართული საპროტესტო გამოსვლის დროს ძალადობის წახალისებაში ედებათ ბრალი. ცოტა ხნის წინ მურსის მხარდამჭერი მოძრაობა „მუსლიმი ძმების“ საქმიანობა ქვეყნის სასამართლომ უკანონოდ გამოაცხადა.

კორუფციული სკანდალის გამო სამი თურქი მინისტრი გადადგა

ოთხშაბათს თურქეთში სამმა მინისტრმა თანამდებობები დატოვა. აღნიშნულის კი უძღოდა წინ მათი ვაჟების დაპტიმრება კორუფციის ფაქტზე გამოძიების ფარგლებში. ამის შესახებ «24 საათი» წინა დღეებში უკვე წერდა. შინაგან საქმეთა მინისტრ მუამარ გიულერის, ეკონომიკის მინისტრ ზაფერ ჩაგლაიანის და ეკოლოგიისა და ქალაქდაგეგმარების მინისტრ ერდოგან ბაირაქტარის შვილები 17 დეკემბერს დაკავებულ 24 ეჭვმიტანილს შორის მოხვდნენ. ბაირაქტარი გადადგომისკენ პრემიერ ერდოღანსაც მოუწოდებს. „როიტერის“ ინფორმაციით, სამივე მინისტრი თავისი შვილის უდანაშაულოების შესახებ აცხადებს. „თანამდებობა დავტოვე, რათა სიმართლის გამოვლენაში მივიღო მონაწილეობა და ეს მახინჯი შეთქმულება გამოვააშკარავო,» - ამბობს ეკონომიკის მინისტრი. გიულერი კი გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულს „მთავრობის, პარტიისა და ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ბინძურ ქმედებას“ უწოდებს. პრეზიდენტი აბდულა გიული ცოტა ხნის წინ გავრცელებულ განცხადებაში მოსახლეობას მიუკერძოებელ გამოძიებას შეჰპირდა.

სნოუდენმა ბრიტანელებს საშობაო სიტყვით მიმართა

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა, 30 წლის ედუარდ სნოუდენმა 25 დეკემბერს დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებს საშობაო სიტყვით მიმართა. ბრიტანულმა ტელეარხმა «Channel 4»-მა სნოუდენის მიმართვა უკვე ჩაწერა. სნოუდენი მიმართვაში დღეს მსოფლიოში მოსმენების მხრივ არსებულ გამოწვევებზე საუბრობს. „მოკლე ტელემიმართვისას“ სნოუდენი აღნიშნავს, რომ „დღეს დაბადებულ ბავშვს პირადი ცხოვრების საიდუმლოს შესახებ წარმოდგენა არ ექნება.“ მიმართვისას სნოუდენმა არსებულ ვითარებასა და მწერალ ჯორჯ ორუელის ცნობილ ნაწარმოებ „1984“-ში ასახულ ვითარებას შორის პარალელი გაავლო. გასულ ზაფხულს სნოუდენმა ამერიკის სადაზვერვო სამსახურების საიდუმლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია გამოამჟღვნა, საიდანაც ვლინდება, რომ აშშ არა მხოლოდ მტრების, არამედ საკუთარი მეგობარი და მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლების საუბრებსაც იწერდა.

მოამზადა თამთა კახაძემ

„ევრომაიდანი„ აქტივისტების ცემას აპროტესტებს

პირველი გვერდიდან

დმიტრი პილიპცი

პარალელურად კი, უკრაინამ რუსეთისგან უკვე სესხის პირველი ტრანში მიიღო - 3 მილიარდი დოლარის ოდენობით.

ჟურნალისტსა და ოპოზიციის აქტივისტ ტატიანა ჩორნოვოლს სამშაბათს, გვიან საღამოს დაესხნენ თავს, როდესაც ეს უკანასკნელი მანქანით სახლში ბრუნდებოდა. ტატიანა ჩორნოვოლი ბორისპოლთან, სოფელ გორაში ცხოვრობს. ჟურნალისტმა მდევარი გორას გადასახვევთან შენიშნა და მანქანა ბორისპოლისკენ მკვეთრად მოაბრუნა. თუმცა მას უგზოობის ავტომობილში მყოფნი ადვილად დაეწივნენ და მანქანა რამდენჯერმე დააჯახეს, ბოლოს კი წინ ჩაუყენეს და იძულებული გახადეს, გაეჩერებინა. ტატიანა ჩორნოვოლმა მანქანიდან გადმოსვლა და გაქცევა სცადა, თუმცა იგი „ჯიპიდან“ გადმოსულებმა დაიჭირეს, სასტიკად სცემეს და გზის გვერდზე კიუვეტში ჩააგდეს. ჟურნალისტ ქალს, სულ ცოტა, ორი მამაკაცი ურტყამდა. მას არ დალაპარაკებიან, არაფერი მოუთხოვიათ და არც დამუქრებიან. ტატიანა ჩორნოვოლმა შემდეგ პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარება თვითონ გამოიძახა, ჟურნალისტი ბორისპოლის სამედიცინო პუნქტში მოათავსეს. აქვს ტვინის შერყევა და სახეზე დასახიჩრებულია, ექიმებს მისთვის რამდენიმე ნაკერის დადება დასჭირდათ. მოგვიანებით სოციალური ქსელებით გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ტატიანა ჩორნოვოლი თავდასხმის შესახებ თვითონ ჰყვება. ის ხელისუფლებისთვის მეტად უხერხული, ცნობილი ჟურნალისტი და ოპოზიციის აქტივისტია. ჟურნალისტური გამოძიების სფეროში მუშაობს და, როგორც ბლოგერი, გამოცემა „უკრაინსკაია პრავდასთან“ თანამშრომლობს. წერს კრიტიკულ სტატიებს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივან ანდრეი კლიუევზე, პრემიერ ნიკოლაი აზაროვზე, შინაგან საქმეთა მინისტრ ვიტალი ზახარჩენკოზე და პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩზე. ჩორნოვოლი წინა არჩევნებში ერთ-ერთ მაჟორიტარულ ოლქში „ბატკივშჩინადან“ კენჭსაც იყრიდა.

ერთი დღით ადრე კი თავს დაესხნენ ხარკოვის „მაიდანის“ ერთ-ერთ ორგანიზატორ დმიტრი პილიპცს, როდესაც ის მორიგი ყოველდღიური აქციიდან სახლში ბრუნდებოდა. მას საოლქო ადმინისტრაციის შენობასთან ახლოს ორი კაცი დაესხა თავს. მასაც სცემეს და დანით ფეხში ოთხი ჭრილობა მიაყენეს. დმიტრი პილიპცს შემთხვევითი გამვლელები მიეხმარნენ საავადმყოფომდე მისვლაში, სადაც 12 ნაკერი დაადეს.

ევრომაიდანის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ მას შემდეგ, რაც სპეცრაზმმა „ბერკუტმა“ ყაზარმებისკენ დაიხია, ხელისუფლება ოპოზიციის აქტივისტებს ე.წ. „ტიტუშკების“ - დაქირავებული შავრაზმელების მეშვეობით უსწორდება.

ამ თავდასხმების შემდეგ კიევში ევრომაიდანზე ხალხმა მოიმატა. მანიფესტანტების ნაწილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან გადაინაცვლა, სადაც პიკეტი მოაწყვეს და მინისტრ ვიტალი ზახარჩენკოს გადადგომას მოითხოვენ. ტატიანა ჩორნოვოლზე თავდასხმა გუშინვე დაგმო უკრაინის ხელისუფლებამ. პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა გენერალურ პროკურორ ვიქტორ პშონკას და შინაგან საქმეთა მინისტრ ვიტალი ზახარჩენკოს საქმის სასწრაფო გამოძიება დაავალა. უმაღლესი რადას სპიკერმა ვლადიმირ რიბაკმაც ჟურნალისტებზე თავდასხმა მიუღებლად მიიჩნია: „ის უხერხული ჟურნალისტია, მაგრამ ისეთია როგორიც არის. ასეთი ცემა დაუშვებელია. მე ასეთ რამეს არასდროს ვუჭერდი მხარს და არც დავუჭერ. საჭიროა დამნაშავეების სწრაფად პოვნა.“

უკრაინაში სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიდან შეიძლება, აღვნიშნოთ „სახალხო გაერთიანება ევრომაიდანის“ საპირწონედ ხელისუფლების მომხრეთა მიერ საკუთარი გაერთიანების შექმნის მცდელობაც. ოპოზიციამ „სახალხო გაერთიანება ევრომაიდანის“ შექმნის შესახებ კვირის „სახალხო ვეჩეზე“ გამოაცხადა. ხელისუფლების მომხრეებმა კი ოთხშაბათს განაცხადეს, რომ ქმნიან ორგანიზაცია „ერთიანობის მოედანს“. იგულისხმება, რომ მასში ევროკავშირთან დაახლოების მოწინააღმდეგეები გაერთიანდებიან, რომლებიც პრეზიდენტ იანუკოვიჩისა და „რეგიონების პარტიის“ მყარ ელექტორატს შეადგენენ.

უკრაინამ კი გუშინ უკვე მიიღო რუსეთისგან პირველი ტრანში 3 მილიარდი დოლარის ოდენობით, რუსეთმა საგარეო სახელმწიფო სესხის ობლიგაციები გამოისყიდა. ეს ოფიციალურ კიევს მეტ-ნაკლებად სტაბილურ გარემოში მუშაობის საშუალებას მისცემს. უკრაინის საკრედიტო რეიტინგი უკვე ოდნავ გაუმჯობესდა. შეპირებული თანხის დანარჩენ ნაწილს - 12 მილიარდს უკრაინა 2014 წლის დასაწყისში ელოდება.

P.S. გუშინ, გვიან ღამით, გავრცელებული ცნობის თანახმად, უკრაინის პოლიციამ უკვე დააკავა სამი პირი, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან ტატიანა ჩორნოვოლზე თავდასხმაში.

პრობლემები ევრაზიული კავშირის შიგნითაც გამოჩნდა

პირველი გვერდიდან



მოლაპარაკებები, რომლებიც მთელი 2014 წლის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს, როგორც ჩანს, არც ისე მარტივი იქნება.

უმაღლესი ევრაზიული ეკონომიკური საბჭოს სხდომაში, საბაჟო კავშირის წევრი სახელმწიფოების პრეზიდენტების გარდა, მონაწილეობა მიიღეს სომხეთისა და ყირგიზეთის პრეზიდენტებმა, რომლებიც ამ გაერთიანებაში შესვლას გეგმავენ და უკრაინის პრემიერ-მინისტრმა - დამკვირვებლის სტატუსით. თავიდან სამეულმა - ვლადიმირ პუტინმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ და ნურსულთან ნაზარბაევმა მიწვეული სტუმრების გარეშე ისაუბრეს, შემდეგ მათ სერჟ სარგსიანი, ალმაზბეკ ატამბაევი და ნიკოლაი აზაროვი შეუერთდნენ. სამეულის ლიდერებმა საბაჟო კავშირთან სომხეთის მიერთების «საგზაო რუკა» (პროგრამა) დაამტკიცეს. ამ გაერთიანებაში სომხეთი, დაახლოებით, ნახევარი წლის შემდეგ შეძლებს შესვლას, ხოლო საბაჟო კავშირი ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირად 2015 წელს უნდა გადაკეთდეს. ყირგიზეთისთვისაც მსგავსი დოკუმენტი თითქმის მზად არის და მას ალბათ პრეზიდენტები შემდეგი სამიტის დროს დაამტკიცებენ.

ნაზარბაევმა ევრაზიული გაერთიანების შექმნის იდეას «თანამედროვეობის ინოვაციური პროექტი“ უწოდა. მან აღნიშნა, რომ «ეს არ არის საბჭოთა კავშირის რესტავრაციის მცდელობა, როგორც უნდათ, ეს თავს მოგვახვიონ“ და «არც ევროკავშირის გამეორება“. «ჩვენ მივდივართ არა უკან, არამედ წინ და არც დინებას მივყვებით. ჩვენ ვაგებთ კავშირს საკუთარ ტრადიციებსა და ისტორიაზე,“ - განაცხადა ყაზახეთის პრეზიდენტმა. მისმა ბელარუსმა კოლეგამ ალექსანდრ ლუკაშენკომ კი თქვა: «თუ ვერ მივაღწევთ, რომ ეს ეკონომიკური კავშირი ჩვენ მიერ დაგეგმილ ვადებში ამოქმედდეს, ეს ყველა ჩვენგანის და ჩვენი სახელმწიფოების სირცხვილი იქნება.“

ინტეგრაციის პროცესი ვადებში მეტნაკლებად გაწერილია. 2014 წლის 1 მარტისთვის უნდა დასრულდეს ერთიანი ეკონომიკური სივრცის შიგნით არსებული შეზღუდვებისა და თეთრი ლაქების სიის შედგენა და განისაზღვროს მათი აღმოფხვრის ვადები. 1 მაისს იგეგმება სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება. 2015 წლამდე დარჩენილი დრო კი ფორმალობებისა და გაუგებრობების მოგვარებას დაეთმობა.

სამშაბათის სხდომამ ყველას დაანახა, რომ ეს გაუგებრობები საკმაოდ ბევრია, ხოლო ბელარუსის და ყაზახეთის პრეზიდენტები მოურიდებლად საუბრობდნენ იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ხელს არ აძლევთ. შიგადაშიდ მათი რიტორიკა საკმაოდ მკვეთრიც იყო. რიგ პრინციპულ საკითხებზე კი მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

ლუკაშენკო დაჟინებით მოითხოვს, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მონაწილეებმა «ერთმანეთის საქონელი უნდა განიხილონ, როგორც საკუთარი“ და ადგილი არ უნდა ჰქონდეს არანაირ შეზღუდვებს, მათ შორის, არც ბუნებრივი აირისა და ნავთობის საკითხებში. ამას გარდა, ბელარუსის პრეზიდენტი მოითხოვს, მკაფიოდ გაიწეროს კომპეტენციები და გარკვეული იყოს, ვინ რაზე აგებს პასუხს. მომავალში თავიდან უნდა აიცილონ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ვიღაც სხვის საქმეში ერევა.

თავის მხრივ, ნაზარბაევმა კოლეგები გააფრთხილა, რომ ჩამოყალიბების პროცესში არსებული კავშირის პოლიტიზაციის მცდელობა არ უნდა იყოს. «ჩვენ ვხედავთ, სადამდე მივყავართ ამას“. ნაზარბაევმა ამით საკმაოდ მკაფიო მინიშნება გააკეთა ევროკავშირსა და უკრაინის მიერ ამ გაერთიანებასთან ჯერ კიდევ ხელმოუწერელ შეთანხმებაზე ასოციაციის შესახებ. ნაზარბაევმა წამოაყენა წინადადება, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ხელშეკრულებაში არ ჩაწერონ ისეთი მუხლები, რომლებიც ეკონომიკური ინტეგრაციის სფეროს არ ეხება. მაგალითად მოიყვანა მუხლი სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული დარღვევებისთვის სასჯელის უნიფიკაციის შესახებ.

გამოთქმული პრეტენზიები რუსეთის ხედვას ეწინააღმდეგება, რომელიც მიიჩნევს, რომ მომავალ კავშირში ინტეგრაციული პროცესები მხოლოდ ახლა იწყება და მისი გავრცელების სფეროს შეზღუდვას აზრი არ აქვს. მთლიანობაში, რუსეთის მხარე ისევე იქცევა, როგორც საშინაო პოლიტიკის შემთხვევაში. კერძოდ, ხელშეკრულების პროექტში ტოვებს შესწორებების შეტანისა და მუხლების სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის მაქსიმალურ შესაძლებლობებს. შესაბამისად, დიდი სივრცე რჩება სახელმწიფოთა სათავეებში მყოფი ადამიანების მიერ ევრაზიული კავშირის მართვისთვის. რუსეთი ამას იმის იმედად აკეთებს, რომ უკვე შექმნილ კავშირში ყველა მხარის პოზიციები წევრი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობების შეფარდებით, ასევე ენერგომატარებლების მიწოდების ბალანსით განისაზღვრება. უფრო გასაგები ენით რომ ვთქვათ, დანარჩენ სახელმწიფოებზე ზემოქმედებას რუსეთი ისევ გააგრძელებს საკუთარი ეკონომიკის სიდიდითა და ენერგომატარებლების ფასის მეშვეობით.

აღნიშნული საკითხების გარდა, ყაზახეთის და ბელარუსის პრეზიდენტებმა პუტინთან იჩივლეს ევრაზიული ეკონომიკური კომისიის ცუდი მუშაობის გამო. ამ კომისიას რუსეთის ყოფილი ვიცე-პრემიერი ვიქტორ ხრისტენკო ხელმძღვანელობს. რეალურად, ეს კომისია საბაჟო კაშირის მთელ საქმეებს უძღვება და უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ინტეგრაციის გასაღრმავებლად არის საჭირო. ორი თვის წინ ანალოგიურ სამიტზე «სამეული“ შეთანხმდა, რომ კომისიის მმართველი ორგანოები შტატების ზედმეტი გაბერვის გარეშე და შერეული პრინციპით ჩამოყალიბდებოდა.“ თუმცა დღემდე ზოგიერთი დეპარტამენტის უფროსს სამი ან ოთხი მოადგილე ჰყავს და მათგან ყველა რუსია,“ - დაიჩივლა ნაზარბაევმა. «არანორმალურია, როდესაც არ სრულდება სამი პრეზიდენტის მიერ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილება!“ - მხარი დაუჭირა ნაზარბაევს ლუკაშენკომ.

მოამზადა ივა შილაკაძემ

თბილისის საერთაშორისო სიყვარული

პირველი გვერდიდან

ამ სიახლეს კინოპორტალები variety.com, imdb.com და სხვა საიტები იუწყება. სტატიების ავტორები ადასტურებენ, რომ პარიზისა და ნიუ იორკის სიყვარულის შესახებ ფილმების მსგავსად «თბილისო, მე შენ მიყვარხარ» ემანუელ ბენბიის მორიგი პროდუქტი გახდა.

ემანუელ ბენბიი ფრანგი პროდუსერია, რომელმაც ეკრანებზე 2006 წლის «პარიზო, მე შენ მიყვარხარ» და 2008 წლის «ნიუ იორკო, მე შენ მიყვარხარ» გამოუშვა. ეს გახლავთ რამდენიმე რეჟისორის მიერ გადაღებული პატარა ფილმების კრებული, რომლებში მოქმედება აუცილებლად დასახელებულ ქალაქებში ვითარდება, თემა კი სიყვარულია. პარიზისთვის სიყვარულის ახსნისას ემანუელ ბენბიიმ ფრანგ რეჟისორებთან ერთად უცხოელებიც მოიწვია, მათ შორის ეთან და ჯოელ კოენები, ალფონსო კუარონი, გას ვან სენტი, ტომ ტიკვერი, უალტერ სალესი, ალექსანდერ პეინი, უეს კრეივენი და სხვები. ნიუ იორკს კი სიყვარულს უხსნიდნენ ფატი აკინი, ნატალი პორტმანი, შეკჰარ კაპური, მირა ნაირი, ბრეტ რატნერი და ალენ ჰიუზი.

მას შემდეგ, რაც «თბილისო, მე შენ მიყვარხარ» ემანუელ ბენბიის მფარველობის ქვეშ გადავიდა, გამორიცხული არ არის, ფილმის რეჟისორთა შემადგენლობა საერთაშორისო გახდეს და ცნობილი ავტორებიც გამოერიოს, მანამდე კი ფილმს მხოლოდ ქართველი რეჟისორები ჰყავს: ნიკა აგიაშვილი (საქართველოს მხრიდან პროექტის ერთ-ერთი ავტორი), ირაკლი ჩხიკვაძე, ლევან ღლონტი, ალექსანდრე ქვირია, თაკო შავგულიძე, კოტე თაყაიშვილი და ლევან თუთბერიძე. პროექტის საერთაშორისო ბაზარზე გადანაცვლება ამ რეჟისორებისთვისაც (ისინი ძირითადად დამწყებები არიან) ხელსაყრელია - მათ საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცებისა და ევროპული ხარისხის კინოპროდუქტის გადაღების შანსი ეძლევათ.

მთავარი ის გახლავთ, რომ ემანუელ ბენბიიმ არა მხოლოდ იდეის დონეზე არსებული პროექტი ჩაიბარა, არამედ დაწყებული საქმე. პროექტზე «თბილისო, მე შენ მიყვარხარ» მუშაობა უკვე მიმდინარეობს, ნიკა აგიაშვილს თავისი სეგმენტის სცენები გადაღებულიც აქვს. გადაღებები შარშან გაზაფხულსა და ზაფხულში მიმდინარეობდა, რისთვისაც ჩვენს ქალაქს ორი ვარსკვლავიც სტუმრობდა: რონ პერლმანი და მალკოლმ მაკდაუელი.

მაშინ პროექტს ჯერ კიდევ «თბილისი - ჩემი ქალაქი» ერქვა, პირველი კი ჩვენს ქალაქს ოდესღაც ყველაზე იმედისმომცემ მსახიობად აღიარებული, მაგრამ საბოლოოდ ბე კატეგორიის კინოში გადანაცვლებული მალკოლმ მაკდაუელი ესტუმრა. რამდენიმე თვის შემდეგ იმავე სეგმენტში გადაღებისთვის რონ პერლმანი ჩამოვიდა. როგორც მაშინ იყო ცნობილი (და ალბათ ახლაც ასეა) პერლმანის პერსონაჟი უსახელო ამერიკელი მოტოციკლისტია (ბევრს გაგახსენდებათ მისი კლეი მოროუ სერიალიდან «ანარქიის შვილები»), რომელიც საქართველოში მეგობარ გოგონასთან (სარა დიუმონი) სახელად Freedom ერთად მოგზაურობს და გზად თბილისშიც შემოივლის.

მალკოლმ მაკდაუელისგან განსხვავებით რონ პერლმანი საკმაოდ რეალიზებული მსახიობია. მან სახელი უმბერტო ეკოს «ვარდის სახელის» ეკრანიზაციაში მონაწილეობით გაითქვა, სადაც ჭკუასუსტ ბერ სალვატორეს თამაშობდა. მის ფილმოგრაფიაში ასევე შედის გილერმო დელ ტოროს «ჰელბოი» და «წყნარი ოკეანის ყურე», ნიკოლას უინდინგ რეფნის «დრაივი», ჟან პიერ ჟანეს «უცხო» და რამდენიმე ტელეპროექტი.

რაც შეეხება «სიყვარულის ქალაქების» ფრენჩაიზს, პარიზის, ნიუ იორკისა ვდა თბილისის გარდა ემანუელ ბენბიი 2014 წელს «რიო, მე შენ მიყვარხარსა» და «იერუსალიმო, მე შენ მიყვარხარს» გამოუშვებს. ასევე დაგეგმილია ფილმები შანხაის, ბერლინის, ახალი ორლეანის, როტერდამის, მუმბაის, სიდნეისა და ტოკიოს შესახებ.

2014 წლის ვენეციის არქიტექტურის მე-14 ბიენალე ღია კონკურსი

დღეს, 26 დეკემბერს, 13:00 საათზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ოფიციალურად გამოცხადდება ღია კონკურსი და კონკურსის პირობები ვენეციის არქიტექტურის მე-**14** ბიენალეში მონაწილეობის მისაღებად. კონკურსი მიზნად ისახავს 2014 წელს ვენეციის არქიტექტურის მე-14 ბიენალეზე საქართველოს არსებულ პავილიონში წარსადგენად საუკეთესო საკურატორო წინადადების შერჩევას.

პრესკონფერენციას დაესწრებიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, აგრეთვე კამიკაძე ლოჯიას“ პროექტში მონაწილე ხელოვანები და თეორეტიკოსები.

ვენეციის არქიტექტურის მე-**14** ბიენალე **2014** წლის **7** ივნისიდან **23** ნოემბრამდე გაიმართება - ბიენალეს წლევანდელი ძირითადი თემაა - საფუძვლები ***(Fundamentals)*** - კონცეფცია თანამედროვეობის ერთ-ერთმა გამოჩენილმა არქიტექტორმა რემ კულჰაასმა წარმოადგინა. მისი განმარტებით, წლევანდელი ბიენალე ეძღვნება არქიტექტურას და არა არქიტექტორებს.

2014 წლის ვენეციის არქიტექტურის ბიენალე საფუძვლები“ წარმოაჩენს უკანასკნელი ასწლეულის არქიტექტურის ევოლუციას და ხელს შეუწყობს გლობალიზაციის პირობებში გამოვავლინოთ განსხვავებული კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი ელემენტები, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩა სხვადასხვა ხელოვნებაში, ხოლო მათი ახლებური გააზრება არქიტექტურის ახალ შესაძლებლობებს დაგვანახებს“ - აღნიშნავს რემ კულჰაასი.ს

საკონკურსო ნამუშევრების მიღება იწარმოებს 2013 წლის 26 დეკემბრიდან 2014 წლის 30 იანვარამდე; პროექტების განხილვა შედგება 2014 წლის 31იანვრიდან 6 თებერვლამდე; კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ის საჯარო პრეზენტაცია კულტურის სამინისტროში 2014 წლის თებერვალში გაიმართება.

საკონკურსო კომისია დაკომპლექტდება უცხოელი და ქართველი ექსპერტებით, რომლებიც განიხილავენ შემოსულ პროექტებს და ხმათა უმრავლესობით, ღია წესით, მიიღებენ გადაწყვეტილებას საუკეთესო გამარჯვებული საკურატორო წინადადების გამოვლენის თაობაზე.

პრიორიტეტი მიენიჭება არა კონკრეტულ არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტებს, არამედ ბიენალეს თემატიკის შესაბამის არქიტექტურულ-ურბანულ, სოციო-ისტორიულ, სოციო-სივრცით კონცეფციებს, კვლევით პროექტებს და პერფორმანსებს.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028766

შემსყიდველი	ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	24.12.2013 19:49
წინადადებების მიღება იწყება	27.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	31.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	6122 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	64200000-სატელეკომუნიკაციო მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	64200000-სატელეკომუნიკაციო მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად
მოწოდების ვადა	მომსახურების მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	120 ლარი
გარანტიის ოდენობა	61 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028763

შემსყიდველი	შპს "ქართული კვების კომპანია"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	24.12.2013 19:43
წინადადებების მიღება იწყება	10.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	15.01.2014 14:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	127864 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	39800000-საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	39800000-საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1278 ლარი
გარანტიის ოდენობა	1279 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028764

შემსყიდველი	შპს "ქართული კვების კომპანია"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	24.12.2013 19:47
წინადადებების მიღება იწყება	10.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	15.01.2014 15:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	37800 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	39800000-საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	39800000-საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	378 ლარი
გარანტიის ოდენობა	378 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028769

შემსყიდველი	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	24.12.2013 20:30
წინადადებების მიღება იწყება	10.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	15.01.2014 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	150285 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	24300000-ძირითადი არაორგანული და ორგანული ქიმიკატები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	24311900-ქლორი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	43 ტონა
მოწოდების ვადა	სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1300 ლარი
გარანტიის ოდენობა	1503 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028770

შემსყიდველი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	24.12.2013 20:33
წინადადებების მიღება იწყება	27.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	31.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	68722 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	50110000-ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან-2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	687 ლარი
გარანტიის ოდენობა	687 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028767

შემსყიდველი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	24.12.2013 20:21
წინადადებების მიღება იწყება	10.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	15.01.2014 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	6270 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	50 ლარი
გარანტიის ოდენობა	63 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028774

შემსყიდველი	შემოსავლების სამსახური
ტენდერის გამოცხადების თარიღი	24.12.2013 21:40
წინადადებების მიღება იწყება	03.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	08.01.2014 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	2600 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	22800000-ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	22852000-საქაღალდეები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	2000 ცალი
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	26 ლარი
გარანტიის ოდენობა	26 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028776

შემსყიდველი	შემოსავლების სამსახური
ტენდერის გამოცხადების თარიღი	24.12.2013 22:22
წინადადებების მიღება იწყება	11.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.01.2014 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	2730 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45421000-სადურგლო სამუშაოები, 45432210-კედელზე საფარის დადება, 45442100-სამღებრო სამუშაოები, 45450000-შენობის მოწყობის სხვა სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. ტექნიკური დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	27 ლარი
გარანტიის ოდენობა	27 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

კარგი მწვრთნელი ტერი სტოტსი

ზურა თალაკვაძე

ტერი სტოტსი და ნიკოლა ბატუმი

ტერი სტოტსი პორტლენდის“ მთავარი მწვრთნელია. პორტლენდმა“ სეზონი მოულოდნელად, არაპორტლენდურად დაიწყო და დასავლეთის დაუნდობელ უბანში თავაწეული დადის. პორტლენდმა“ დასავლეთში მოსაგები მოიგო და ეს გუნდი ფლეი ოფშიც საინტერესო, სახიფათო, ძნელად წასაკითხი იქნება. პორტლენდში“ ლამარკუს ოლდრიჯი ტიმ დანკანივით თამაშობს. პორტლენდში“ დამიან ლილარდი რეჯი მილერის და დეიმონ სტაუდმაიერის კარგი მიქსტია. პორტლენდში“ ნიკოლა ბატუმი ფრანგი სკოტი პიპენია. პორტლენდში“ კლაიდ დრექსლერი თავისი ძველი გუნდის თამაშებზე ოჯახთან ერთად მიდის და პორტლენდი“ შეიცვალა. სტაბილური სან ანტონიო“ ყოველთვის ფავორიტია. სტაბილური კევინ დიურანი ოკლაჰომას“ სტაბილურად ბევრს მოაგებინებს. სტაბილური კრის პოლი პრობლემებს ლოს ანჯელესში მიხედავს და პორტლენდში ტრეილ ბლეიზერსი“ მიზერს ამბობს. და თამაშობს.

პორტლენდის“ არქიტექტორი მისტერ ტერი სტოტსია. კარგი მწვრთნელი, რომელმაც მოუმატა.

სტოტსს არ უმართლებდა. კარიერის დასაწყისში ტერი ზედმეტი იყო. ზედმეტი, როგორც მოთამაშე, რომელიც 1980 წლის დრაფტზე აირჩია ჰიუსტონმა“. სტოტსი ვერ მოხვდა კლუბის განაცხადში და ტერი მიდის ჯორჯ კარლთან. შემდეგი გაჩერება, კარლი, CBA, Montana Golden Nuggets. სტოტსი თამაშობს, იგებს, NBA ტერის არ ამჩნევს და, კარლის პროტექციით, მისტერ სტოტსი ჩადის ესპანეთში. ესტუდიანტესი“ სტოტსის პერსონალური პროექტი იყო. კარგი ფორვარდი კარგი ხელით. სტოტსმა ბარსელონაში კოლუმბის მონუმენტზე ხელი მოიტეხა, ტერის ოპერაცია გაუკეთეს და ესპანური თემა დაიხურა. სტოტსი იწყებს მომთაბარე კარიერას. 1990. ტერის კარიერა დაიხურა. სტოტსი ჩადის სამწვრთნელო სემინარებზე და ცოდნას, ერუდიციას დიდი ბიჭებისგან იღებს. და ტერიმ მოუმატა. ტერი იწყებს მწვრთნელის კარიერას. ჯერ CBA (Albany Patroons, Fort Wayne Fury). პირველ გაჩერებაზე სტოტსი ასისტენტი ყო და ფორტ უეინის ძველი ბიჭების გუნდი უკვე მთავარი მწვრთნელის რანგში მიიღო. NBA ასისტენტობთ დაიწყო და 5 სეზონით მისტერ სტოტსი სიეტლში“ დატოვეს. და ოთხი წლით მილუოკიში“. 2002. ტერი სტოტსი დანიშნეს ატლანტაში“. მთავარ მწვრთნელად. დაიწყო.

2002. ჰოქსის“ ბოსებმა პოპულარული მწვრთნელი, ლონ კრიუგერი დაასვენეს და სტოტსს დუძახეს. ორ სეზონში ტერიმ 52 ტესტი მოიგო. 85 ვერ მოიგო. სტოტსიც დაასვენეს. და ტერი გოლდენ სტეიტში“ მიდის. ასისტენტად.

2005. მილუოკი“. გუნდი შედის ფლეი ოფში. მეორე სეზონის მეორე ნახევარში ტერის კიდევ ერთხელ ურჩიეს დასვენება. 2007, 14.03 - სტოტსი ბაქსიდან“ გაუშვეს.

2008. დალასი“. რიკ კარლაილი პირველი მწვრთნელია. სტოტსი - ასისტენტი. დირკ ნოვიცკიმ ლებრონს ვაგნერი ჩაურთო და ლებრონმა კლასიკა ვერ გაიგო. რეპი ეგონა. დალასი“ იგებს სუპერფინალს და ტერი სტოტსი იმ გუნდის ორკესტრატორი იყო.

2012, 07.08 - პორტლენდში“ ტერის აგრესიული სტილი მოეწონათ და მისტერ სტოტსი იწყებს ახალ ეტაპს. იწყებს 115 სამწვრთნელო მოგებით და 168 წაგებული თამაშით. პირველ სეზონში - 33:49. პორტლენდმა“ რეგულარული ზედიზედ 13 წაგებით დახურა. და ვერ შევიდა ფლეი ოფში. სტოტსს საყვედური არ უთხრეს - მიდი, შეუბერეო. პორტლენდი“ რეგულარულის გრემი, ყველაზე სწრაფი ბანდაა. ტერიმ მეტი ნდობა მიიღო.

ტერი სტოტსი ევროპაში მოგზაურობს, ბევრს იმახსოვრებს, ეცნობა საუკეთესო ევროპელი მწვრთნელების მეგობრობის დღიურებს და სტოტსი კარგი მწვრთნელია. რეალურად კარგი მწვრთნელი, რომელიც რეალურად კარგ გუნდს მოქნილ კალათბურთს ათამაშებს.

პორტლენდი“ გემოვნებით თამაშობს. დამიან ლილარდი ენერჯაიზერია. იმ პატარა კურდღელივით გამოვარდება, ენერგიით აგავსებს და ლილარდი მომავალია. ოლდრიჯმა ისწავლა თავისი ნიჭის და სხვისი სუსტი წერტილების გამოყენება. ოლდრიჯი არ არის ერთჯერადი. და სხვები ამ ორმაგ კრუასანს ავსებენ. პორტლენდმა“ სეზონი 23 მოგებით და 5 წაგებით გახსნა. კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო სტარტი.

პორტლენდი“ საუკეთესოა ლიგაში სამიანების პროცენტით. ტერის პიკები და ლილარდ/ოლდრიჯის არითმიული სვლები კლუბის მომავალია. ზედიზედ ცამეტჯერ ბლეიზერსმა“ 105 და მეტი ქულა აიღო. დენვერის“ რეკორდის (2008) გამეორება. სტოტსი არ აგვიანებს წუთშესვენების აღებას და სტოტსი ფრენჩაიზის ბოსების ნდობას იღებს. ფრენჩაიზის მფლობელი, პოლ ალენი სტოტსის საქმეში არ ერევა და მწვრთნელი ამას აფასებს. გენერალური მენეჯერი, ნილ ოლში სტოტსში ამ გენერაციის გრეგ პოპოვიჩს ხედავს. გრეგი ლეგენდაა. სტოტსი - ძალიან კარგი მწვრთნელი, რომელიც სწავლობს. ტერი ნიჭიერი მოწაფეა.

როდესაც 6 წლის წინ ტერი მილუოკიდან“ გაუშვეს, სტოტსმა სამი კვირა ევროპაში გაატარა. ჩავიდა ეტორე მესინასთან და ცსკა-ს ვარჯიშებს დაესწრო. ჩავიდა ათენში და პანათინაიკოსის“ ვარჯიშები მოინიშნა. ჩავიდა სტამბოლში და დევიდ ბლატი გადაიკითხა. ტერი სტოტსმა დიდი გამოცდილება მიიღო. ტერი ევროპაში თამაშობდა და ტერის მენტორი მესინაა. იტალიელი გენიოსი, რომელიც ცსკა-ში ერთ სეზონში 6 მილიონ ევროს იღებს. ტერიზე ორჯერ მეტს.

სტოტსს ჰყავს ძალიან კარგი ასისტენტი კალებ კანალესი, რომელიც უკვე ტერისგან სწავლობს. კანალესიც ევრომოდელზე გადადის და ტერიმ პორტლენდში“ ბევრი ნიუანსი გამოასწორა. ოლდრიჯი აღარ აკეთებს ბევრ გარბენს და ლამარკუსი უფრო აკურატული გახდა. ლილარდი კარგი იყო და დამიანმა პარკერების, კალდერონების ევროსაუბარი ისწავლა. პორტლენდი“ შეიცვალა და კლუბი ცდილობს, არ დააგდოს რეგულარულის სტარტზე აღებული ტემპი.

პორტლენდმა“ რამდენიმე კარგი პერსონაჟი დაიმატა. და უფრო ღრმა, გონიერი გუნდი გახდა. მოდიან ტომას რობინსონი, დორელ რაითი და რობინ ლოპესი. ბლეიზერსი“ უფრო პირველ ხუთეულს ღლის და სადღაც ამ ბიჭებსაც ენდობა. პორტლენდი“ ტერი სტოტსის პროექტია. პორტლენდში სტოტსის ჩანაწერებს პატივს სცემენ. ტერი ამას ხედავს.

ტერი სტოტსი პორტლენდის“ მთავარი მწვრთნელია. პორტლენდმა“ სეზონი მოულოდნელად, არაპორტლენდურად დაიწყო და დასავლეთის დაუნდობელ უბანში თავაწეული დადის. პორტლენდმა“ დასავლეთში მოსაგები მოიგო და ეს გუნდი ფლეი ოფშიც საინტერესო, სახიფათო, ძნელად წასაკითხი იქნება. პორტლენდში“ ლამარკუს ოლდრიჯი ტიმ დანკანივით თამაშობს. პორტლენდში“ დამიან ლილარდი რეჯი მილერის და დეიმონ სტაუდმაიერის კარგი მიქსტია. პორტლენდში“ ნიკოლა ბატუმი ფრანგი სკოტი პიპენია. პორტლენდში“ კლაიდ დრექსლერი თავისი ძველი გუნდის თამაშებზე ოჯახთან ერთად მიდის და პორტლენდი“ შეიცვალა. სტაბილური სან ანტონიო“ ყოველთვის ფავორიტია. სტაბილური კევინ დიურანი ოკლაჰომას“ სტაბილურად ბევრს მოაგებინებს. სტაბილური კრის პოლი პრობლემებს ლოს ანჯელესში მიხედავს და პორტლენდში ტრეილ ბლეიზერსი“ მიზერს ამბობს. და თამაშობს.

ტერი სტოტსი ახალი თაობის ნიჭიერი მოწაფეა და სტოტსმა მესინას, ობრადოვიჩის, ბლატის ჩანაწერები გამოიყენა. ევროპიდან ამერიკაში ახალი, უფრო დინჯი სპეციალისტი ჩავიდა. და პორტლენდიც“ უფრო დინჯი, მრავალფეროვანი გახდა.

ტერი სტოტსი რეგულარულის პირველი ნახევრის საუკეთესო მწვრთნელია.

რონალდოსთვის მესი საუკეთესო ფეხბურთელია

ლეგენდარული ბრაზილიელი თავდამსხმელი რონალდო აცხადებს, „ბარსელონას“ არგენტინელი თავდამსხმელი ლიონელ მესი მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეაო. „ვფიქრობ, რონალდუ და მესი მსოფლიოს ორი საუკეთესო ფეხბურთელია. თუ მათ შორის მომიწევს არჩევანის გაკეთება, მაშინ ვიტყოდი, რომ ტექნიკის მხრივ მესი უფრო ძლიერია“, - ამბობს რონალდო.

„რეალი“ „ჩელსის“ ლოპესს არ უთმობს

„რეალი“ „ჩელსისთან“ მეკარე დიეგო ლოპესის ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებას არ აპირებს. საქმე ის არის, რომ ლოპესის გადაბირებით დაინტერესებულია „არისტოკრატთა“ პორტუგალიელი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო, რისთვისაც ლონდონელებმა მადრიდულ კლუბს წინადადებითაც მიმართეს, მაგრამ უარი მიიღეს.

გიგზი პრემიერლიგაში არდადეგების იდეით გამოდის

„მანჩესტერ იუნაიტედის“ უელსელი ვეტერანი რაიან გიგზი პრემიერლიგაში ზამთრის არდადეგების იდეით გამოდის.

„ვფიქრობ, ინგლისის ჩემპიონატს პატარა არდადეგები არ აწყენდა. აუცილებელი არ არის, ეს მაინცდამაინც შობას დაემთხვას. უბრალოდ, იანვარში რომ დავისვენოთ, ურიგო არ იქნება. მაგალითად, ორი კვირა სადმე მზეს მივეფიცხებოდით, ერთკვირიანი ვარჯიშის შემდეგ კი ჩემპიონატს განვაახლებდით.

მესმის, რომ ინგლისში ფეხბურთი ძალიან უყვართ, რომ ტელევიზია საშობაო დღესასწაულებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ შეუსვენებლად თამაში ეროვნულ ნაკრებსაც ვნებს. პაუზის გარეშე თამაში საერთაშორისო ტურნირებს თავის კვალს ატყობს“, - საკუთარ მოსაზრებას გვიზიარებს «მანიუს“ ნახევარმცველი.

სკოლარი კაკას ნაკრებში შეყვანას არ ჩქარობს

მილანში სტუმრად მყოფმა ბრაზილიელთა თავკაცმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ იტალიის ჩემპიონატის მე-17 ტურში, „მილანისა“ და „ინტერის“ მატჩის დასრულების შემდეგ თქვა, რომ ჯერჯერობით უცნობია, მოხვდება თუ არა მილანელთა ბრაზილიელი ნახევარმცველი კაკა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ნაკრების შემადგენლობაში: „დღეს კაკას ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ არც კატასტროფულად უთამაშია. ასე რომ, ზუსტად არ ვიცი, შევიყვან თუ არა მას მსოფლიო ჩემპიონატის განაცხადში. მანამდე დიდი დროა და არც ერთი გადაწყვეტილება ნაჩქარევად არ უნდა მივიღო“.

რონალდუ გატანილი გოლებით 2013 წელს ყველაზე შედეგიანია

მადრიდის „რეალის“ „ოქროს ბურთის“ პორტუგალიელი ნომინანტი კრიშტიანუ რონალდუ კოლეგებს შორის 2013 წლის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი გახდა. წლეულს მან ყველა ტურნირის ჯამში 69 გოლი გაიტანა.

იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით 28 წლის პორტუგალიელმა „რეალის“ მაისურით ესპანეთის ჩემპიონატში 38 გოლი გაიტანა, 15 - ჩემპიონთა ლიგაში, 6 - ესპანეთის თასზე, ხოლო სანაკრებო დონეზე - 10.

47 გოლით მეორე ადგილზეა პსჟ-ის შვედი ლეგიონერი ზლატან იბრაჰიმოვიჩი. იბრას ორი ბურთით ჩამორჩება „ბარსელონას“ თავდასმხმელი ლიონელ მესი - 45. 42 გოლით მეოთხე მაჩვენებელი აქვს ურუგვაელ ლივერპულელს ლუის სუარესს, ხოლო პსჟ-ის ურუგვაელი თავდამსხმელის ედისონ კავანის ანგარიშზე 41 გოლია. და კიდევ, 2013 წელს კრიშტიანუ რონალდუმ „ოქროს ბურთისთვის“ დავაში თავისი კონკურენტების - ლიონელ მესისა (45) და ფრანკ რიბერის (23) მიერ ჯამში გატანილ გოლებზე მეტი გაიტანა.

ბეკენბაუერისთვის „ბაიერნში“ საუკეთესო ფილიპ ლამია

„ბაიერნის“ საპატიო პრეზიდენტის, ფრანც ბეკენბაუერის აზრით, გუნდის კაპიტანი ფილიპ ლამი 2013 წელს იმსახურებს მიუნხენელთა შორის საუკეთესოდ იწოდებოდეს.

„ფილიპ ლამს თავისუფლად შეუძლია ყველა პოზიციაზე ერთნაირად, უმაღლეს დონეზე ითამაშოს. ერთადერთი, რაც ალბათ არ გამოუვა, მეკარეობაა. მისი სახით არა მარტო „ბაიერნს“, არამედ გერმანიის ნაკრებს ძალიან ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს. წლევანდელი საკლუბო წარმატებები ლამის კარგმა თამაშმა განაპირობა. ვფიქრობ, „ბაიერნის“ რიგებში საუკეთესო სწორედ ის იყო“.

მასკერანო „ნაპოლიში“ გადადის

იტალიური გამოცემის, Il Mattino-ს ცნობით, „ბარსელონას“ 29 წლის არგენტინელი მცველის ხავიერ მასკერანოს „ნაპოლიში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია, ოღონდ ტრანსფერი სეზონის ბოლოს შედგება და არა ზამთრის სატრანსფერო სეზონზე. ასე რომ, არგენტინელი მცველი კატალონიურ კლუბში გამოიზამთრებს.

ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს „ბარსელონა“ მზადაა, მასკერანო „ნაპოლიში“ 20 მილიონ ევროდ გაუშვას.

რომან ფიფია: სოხუმის „დინამოზე„ არაფერი ვუწყოდით

პირველი გვერდიდან

თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტის რომან ფიფიას თქმით, „დინამოს“ აკადემიის 13-წლამდელებმა სანკტ-პეტერბურგის ტურნირზე თამაშისთვის, სადაც ასევე მონაწილეობდა ეგრეთ წოდებული აფხაზეთის რესპუბლიკის სოხუმის „დინამო“, სპორტის სამინისტრომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თბილისის „დინამოს“ დასჯა მოსთხოვა.

ამის შესახებ, ფიფიამ „მიხელ მესხზე“ კლუბებისა და ფედერაციის ხელმძღვანელების შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ინფორმაციას ადასტურებს ფედერაციის პრეზიდენტი დომენტი სიჭინავაც.

ფიფიას თქმით, კლუბში არ იცოდნენ, რომ ტურნირზე სოხუმის „დინამოც“ იყო მიწვეული, რადგან ეს ორგანიზატორებს ოფიციალურ წერილში არ უცნობებიათ.

სიჭინავას თქმით, ფიფიამ ამის დამადასტურებელი წერილი წარმოადგინა, რომელიც ტურნირის ორგანიზატორების მიერაა გამოგზავნილი. საკითხთან დაკავშირებით სფფ არავითარი რეაგირებას არ აპირებს. ერთადერთი რასაც გეგმავს ეს „დინამოს“ მიერ ფედერაციისთვის მიწერილი ოფიციალური წერილების სპორტის სამინისტროსთვის გადაგზავნაა.

აქვე გთავაზობთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დომენტი სიჭინავას სახელზე „დინამოს“ პრეზიდენტის რომან ფიფიას მიერ გაგზავნილი წერილის სრულ შინაარსს.

„ჩვენთვის, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქისთვის ცნობილია და ზედმეტია იმის შეხსენება, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ერთპიროვნული აღიარების შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობები. თუმცა ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ ჩვენი ქვეყანა არ აპირებს სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირებას.

ჩვენმა კლუბმა მიიღო გადაწყვეტილება სანკტ პეტერბურგში დემენტიევის 100 წლისადმი მიძღვნილ ტურნირში (დინამიადაზე) მონაწილეობის შესახებ. თბილისის დინამოს გარდა ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ასევე მიწვეულნი იყვნენ მოსკოვის, კიევის, მინსკის, სანკტ პეტერბურგის, ვოლოგდის, ბრიანსკის, სტავროპოლის დინამოები და სანკტ პეტერბურგის ზენიტი. დანართის სახით გთავაზობთ ტურნირის ორგანიზატორების მიერ გამოგზავნილ წერილს, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ სოხუმის დინამო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ გუნდებს შორის არ ფიგურირებს და მათი ტურნირში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია ჩვენ ვერ გვექნებოდა.

ჩვენს კლუბს აფხაზეთის სახელით და დროშით მოასპარეზე სოხუმის დინამოსთან არასოდეს არსად არ უთამაშია და არც არასოდეს ეთამაშება. იმ შემთხვევაში თუ დინამოს მოუწევდა აფხაზეთის სახელით მოასპარეზე სოხუმის დინამოსთან დაპირისპირება, ჩვენი გუნდი მათთან სათამაშოდ მოედანზე არ გავიდოდა.

იმედია ის დროც მოვა, როცა თბილისის და სოხუმის დინამოელები საქართველოს დროშის ქვეშ, საქართველოს ჩემპიონატში ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ თბილისის დინამოს ვიტალი დარასელიას სახელობის აკადემიის U-13 გუნდმა ჯგუფური ეტაპის წარმატებით დაძლევის შემდეგ ნახევარფინალში კიევის და ფინალში მოსკოვის დინამოსთან მოგებით შეძლო ტურნირში გამარჯვება. სამწუხაროდ პატარა დინამოელებისთვის გამარჯვება არავის მიუღოცავს. მიწვევის შემთხვევაში ჩვენი აკადემიის ასაკობრივი გუნდები მომავალშიც მიიღებენ მონაწილეობას დინამოელთა ტურნირებში, ერთ-ერთი ტურნირის მასპინძელი კი ჩვენი კლუბიც იქნება».